

# იაკობის წერილი

1 ღმერთის და უფლის იესო ქრისტეს მონა იაკობი, დიასპორაში [განთესილობაში] მყოფ თორმეტ შტოს, გიხაროდეთ! 1 პეტ 1:1; ლუკ 22:30, საქ 2:5, 15:21, 26:7

2 ყველაფერი სიხარულად ჩათვალეთ ჩემო ძმებო, როცა სხვადასხვა სახის განსაცდელში ვარდებით, 1 პეტ 1:6, 4:13; 2 კორ 12:10, 2 პეტ 2:9, კოლ 1:24, ებრ 10:34, 11:36-38 ლუკ 6:22 ფილ 1:29

3 რადგან იცით, რომ თქვენი რწმენის გამოცდის შედეგად გამომუშავდება მოთმინება. ებრ 10:36, 12:1 რომ 5:3-4, 8:25, 15:4

4 მოთმინებას კი ჰქონდეს სრულყოფილი მოქმედება, რათა იყოთ სრულქმნილნი, სრულყოფილნი და ყოველგვარი ნაკლის გარეშე. 1 იოან 4:18, კოლ 4:12, იაკ 3:2, 5:7 ლუკ 21:19, მათ 10:22

5 თუ რომელიმე თქვენგანს აკლია სიბრძნე, დაე სთხოვოს ღმერთს, ყველასათვის იოლად და დაუყვედრებლად გამცემს და მიეცემა, გამ 31:6 36:1, იერ 29:12,13 იოან 15:7, 16:24 მათ 7:7-11

6 მაგრამ რწმენაში სთხოვოს და ეჭვის გარეშე, რადგან ეჭვიანი ჰგავს ქარის მიერ აღძრულ და მიმოტაცებულ ზღვის ტალღას. მათ 21:22, 1 ტიმ 2:8, ებრ 11:6, იუდ 1:12

7 არ იფიქროს ასეთმა კაცმა, რომ ღმერთისგან მიიღებს რამეს. ეს 58:3, იაკ 4:3, იგ 21:27

8 მერყევი კაცი არამდგრადია თავის ყველა გზაზე. 3 მეფე. 18:21, ოს 10:2, ეს 29:13, მათ 6:24

9 დაე იქოს დამდაბლებული ძმა თავისი ამაღლებით, ლუკ 1:52, 9:48 იგ 19:1 გამოცხ 2:9

10 მდიდარი კი თავისი დამდაბლებით: რადგან გადაივლის როგორც ბალახის ყვავილი. 1 პეტ 1:24, 1 კორ 7:31, 1 ტიმ 6:17, ეს 57:15

11 ამოდის მზე, აცხუნებს და ახმობს ბალახს, მას სცვივა ყვავილი და მისი სილამაზე იკარგება. ასევე ჩაჭკნება თავისი საკუთარი გზით მავალი მდიდარი. ლუკ 12:16-21

12 კურთხეულია საცდურის გადამტანი კაცი, რადგან განსაცდელგამოვლილი მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს, რომელიც ღმერთმა აღუთქვა თავის მოყვარულთ. 2 რჯლ 7:9, 1 კორ 2:9, 1 პეტ 1:7,8, ებრ 6:15, რომ 2:7

13 არავინ არ თქვათ ცდუნებისას: 'ღმერთი მაცდუნებსო', რადგან ღმერთი არ ცდუნდება ბოროტებით და არც ვინმეს აცდუნებს.

14 არამედ ყველა საკუთარი გულისთქმებით ცდუნდება და წარიტაცება. დაბ 6:5, ოს 13:9 იაკ 4:1,2 მარკ 7:21

15 ხოლო გულისთქმა ჩასახავს და შობს ცოდვას, ჩადენილი ცოდვა შობს სიკვდილს. ეს 59:4, ფს 7:15, რომ 6:21

16 ნუ მოტყუვდებით ჩემო საყვარელო ძმებო, კოლ 2:4, გალ 6:7

17 ყოველი კეთილი საბოძვარი და სრულყოფილი ნიჭი მალლიდან მოდის, ნათელთა მამისაგან, რომელთანაც არ არის ცვლილება და არც ცვალებადობის ჩრდილი. იაკ 3:15-17

18 მან ისურვა და გვშვა ჩვენ ჭეშმარიტების სიტყვით, რათა მისი ქმნილების ერთგვარი პირველნაყოფი ვიყოთ. 1 იოან 3:9, 1 პეტ 1:23, იოან 1:13, იერ 2:3

19 მაშ, ჩემო საყვარელო ძმებო, ყველა ადამიანი მოსმენაში მარდი, საუბარში და რისხვაში კი ნელი უნდა იყოს, კოლ 3:8,15, ეკლ 5:1,2, ეფ 4:31

20 რადგან ადამიანის რისხვა არ წარმოშობს [წარმოქმნის] ღმერთის სიმართლეს. იაკ 3:18

21 ამიტომ მოიშორეთ ყოველგვარი უწმინდურება და ყოველგვარი ბოროტება, სიმშვიდით მიიღეთ თქვენში ჩანერგილი სიტყვა, რომელსაც თქვენი სულების ხსნა შეუძლია. 1 თეს 2:13, ეფ 1:13

22 იყავით სიტყვის შემსრულებელნი და არა მხოლოდ მომსმენნი საკუთარი თავის მოსატყუებლად. მათ 12:50, 28:20, 1 კორ 15:33, რომ 2:13

23 რადგან ვინც ისმენს სიტყვას და არ ასრულებს მას, ჰგავს ადამიანს, რომელიც თავის ბუნებრივ სახეს სარკეში ათვალიერებს: იფხ. 33:31,32, ლუკ 6:47-49, იაკ 2:14

24 დაინახა თავისი თავი, წავიდა და მაშინვე დაავიწყდა, როგორია იგი.

25 მაგრამ ვინც ჩაუკვირდება თავისუფლების სრულყოფილ რჯულს და ასე გააგრძელებს ცხოვრებას, მომსმენი და დამვიწყებელი კი აღარაა, არამედ საქმის გამკეთებელი - კურთხეული იქნება თავის მოქმედებაში. 1 პეტ 2:16, 2 კორ 3:17, გალ 5:1, იოან 8:31-36 15:10, ლუკ 11:28

26 თუ რომელიმე თქვენგანს ჰგონია, რომ კეთილმსახურია და ენას არ ალაგმავს, არამედ თავის გულს აცდუნებს, მისი კეთილმსახურება ამაოა. იგ 13:3, 1 პეტ 3:10, ეფეს 4:29, გალ 6:3, ეს 44:20, ლუკ 8:18

27 ღმერთის და მამის წინაშე შეუბღალავი კეთილმსახურება ისაა, რომ მიხედო ქვრივებს და ობლებს მათ გასაჭირში და წუთისოფლისაგან შეურყვნელად დაიცვა თავი. ეს 1:17, 58:7, იობ 29:12, ფს 67:6

## II

1 ჩემო ძმებო! მიკერძოებით ნუ გექნებათ ჩვენი დიდების უფლის, იესო ქრისტეს რწმენა. 2 რჯლ 16:19 ლევ 19:15, 2 ნემ 19:7, 1 ტიმ 5:21

2 რადგან თუ შემოვა ოქროსბეჭდიანი და მდიდრულად ჩაცმული კაცი თქვენს სინაგოგაში, ღარიბიც შემოვა ჭუჭყიანი სამოსით, მათ 11:8

3 შეხედავთ მდიდრულად ჩაცმულს და ეტყვიტ მას: 'აქ დაბრძანდით, კარგ ადგილას'; ღარიბს კი ეტყვიტ: 'შენ იქ დადგები, ან აქ დაჯექი ჩემს ფერხითით'.

4 ამ დროს განა ერთმანეთისგან არ განასხვავებთ და უკეთური ზრახვებით სავსე მოსამართლეები არ გამოდიხართ? იობ 34:19, იოან 7:24, ფს 81:2, 108:31

5 მომისმინეთ საყვარელო ძმებო: განა ღმერთმა წუთისოფლის ღარიბები არ აირჩია რწმენით მდიდრებად და იმ სამეფოს მემკვიდრეებად, რომელიც მის მოყვარულებს ალუთქვა? 1 კორ 1:26-28, გამოცხ 3:17

6 მაგრამ თქვენ დაამცირეთ ღარიბი. განა მდიდრები არ გჩაგრავენ და არ მიგათრევენ სასამართლოებში? ეს 3:14, 1 კორ 11:22, საქ 4:1-3, 5:18, 13:50, 16:19

7 განა ისინი არ გმობენ კეთილ სახელს, რომლითაც თქვენ იწოდებით?

8 თუ დაწერილის მიხედვით ასრულებთ სამეფო რჯულს: 'შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც საკუთარი თავი', კარგს შვრებით. ლევ 19:18,34, მათ 22:39, გალ 5:14, რომ 13:9

9 მაგრამ თუ ადამიანებს ანსხვავებთ, სცოდავთ და რჯული გამხილებთ როგორც დამრღვევებს. ლევ. 19:15, 1 იოან 3:4

10 რადგან, ვინც მთელ რჯულს იცავს და ერთში შესცოდავს, ყველაფერში დამნაშავე ხდება. 2 რჯლ 27:26, გალ 3:10

11 რადგან მთქმელმა: 'არ იმრუშო'; ესეც თქვა: 'არ მოკლა'; ამიტომ, თუ არ იმრუშებ, მაგრამ მოკლავ, მაინც რჯულის დამრღვევი ხარ. ფს. 129:3,4, რომ 13:9

12 მაშ ისე ილაპარაკეთ და ისე მოიქეცით, როგორც თავისუფლების რჯულით განსაკითხველებმა. 2 კორ 3:17, 1 პეტ. 2:16, გალ. 5:1-13

13 რადგან შეუბრალებელი სამსჯავრო [სასამართლო] - უმოწყალოს. წყალობა აღემატება სამსჯავროს [მსჯავრდებას]. ეზეკ 33:11, მიქ 7:18, იგ 21:13, მათ 6:15, 7:1-2

14 რა სარგებელს ნახულობს ჩემო ძმებო ის, ვინც ამბობს, რომ რწმენა აქვს, მაგრამ საქმეები არ გააჩნია? შეუძლია ასეთ რწმენას მისი ხსნა? ლუკ 6:49, ტიტ 1:16, ებრ 11:7,8,17

15 თუ ძმა, ან და შიშველია და ლუკმა პური არ გააჩნია

16 და რომელიმე თქვენგანი ეტყვის მათ: 'შვიდობით იარეთ, გათბით და გამეხითო', სხეულისთვის საჭიროს კი არ მისცემს, რა სარგებელია? იობ 22:7-9, იგ 3:27,28

17 ასევეა რწმენაც: საქმეთა გარეშე თავისთავად მკვდარია. ებრ 11:7-32

18 ამიტომ ვინმე ასე იტყვის: 'შენ გაქვს რწმენა, მე მაქვს საქმეები: მაჩვენე შენი რწმენა საქმეების გარეშე და მე ჩემს რწმენას საქმეებისგან გიჩვენებ'. 1 თეს. 1:3, მათ. 7:17

19 შენ გწამს, რომ ღმერთი ერთია, ძალიან კარგი; დემონებსაც სწამთ და კანკალებენ. მარკ 1:24, 5:7

20 შენ კი, ამაო ადამიანო, გინდა კია გაიგო, რომ რწმენა საქმეთა გარეშე მკვდარია? რიცხ 13:31,32, 14:6-12

21 განა მამაჩვენი აბრაამი საქმეებით არ გამართლდა როცა თავის ძეს, ისააკს სამსხვერპლოზე სწირავდა? დაბ 22:9-18, რომ 4:16

22 ხომ ხედავ, რომ რწმენა მის საქმეებთან ერთად მოქმედებდა და საქმით მიაღწია რწმენამ სრულყოფილებას? დაბ 12:1,4 - ებრ 11:8. რიცხვ 20:8,9,11. იესო ნავ. 6:2,3,16,20

23 და აღსრულდა წერილი, რომელიც ამბობს: 'ერწმუნა აბრაამი ღმერთს, ეს სიმართლეში ჩაეთვალა და ეწოდა ღმერთის მეგობარი'. დაბ 15:6, ეს 41:8, გალ 3:16

24 თქვენ ხედავთ, რომ საქმით მართლდება ადამიანი და არა მხოლოდ რწმენით. დაბ 3:17, დაბ 22:18, 26:5, გამ. 6:9, 2 რჯლ 1:43-45, 1 მეფ 15:19,24, იერ 43:4

25 განა მეძავი რახაბიც საქმეებით არ გამართლდა, როცა მზვერავები მიიღო და სხვა გზით გააპარა? იესო 2:1,19-21, 6:22-25, მათ 21:31, ებრ 11:31

26 როგორც სხეულია მკვდარი სულის გარეშე, ასევე რწმენაც მკვდარია საქმეთა გარეშე. ეკლ 12:7, ფს 103:29, ლუკ 23:46

## III

- 1 ჩემო ძმებო, ბევრი ნუ გახდებით მასწავლებლები. იცოდეთ, რომ უფრო დიდ სასჯელს მივიღებთ. 1 კორ 12:28, საქ 13:1, ეფეს 4:1, ებრ 13:17, მათ 10:24, ლუკ 12:48
- 2 რადგან ჩვენ ყველანი ბევრს ვცდებით. თუ ვინმე სიტყვაში არ ცდება, სრულყოფილი ადამიანია. მას შეუძლია ალაგმოს მთელი სხეულიც. ეკლ 7:20, გალ 5:17, მათ 12:37, 1 კორ 9:27
- 3 აჰა, ცხენებს დასამორჩილებლად ლაგამს ამოვდებთ და მათ სხეულს ვმართავთ.
- 4 აჰა, ხომალდებიც, როგორი დიდებიც არ უნდა იყვნენ და როგორმა ძლიერმა ქარმაც არ უნდა ატორტმანოს, პატარა საჭე იქით მიაბრუნებს, საითაც მესაჭე მოინდომებს.
- 5 ასევეა ენაც, სხეულის პატარა ნაწილია, მაგრამ ბევრს აკეთებს. პატარა ცეცხლს დიდი ტყის გადაწვა შეუძლია. იგ 12:18, 18:22
- 6 ენაც ცეცხლია, უმართლობის სამყარო. ენა ჩვენს ასოებს შორისაა მოთავსებული, ბილწავს მთელს სხეულს და წვავს ცხოვრების ბორბალს, რადგან აღმოდებულია გეენისგან. რომ 3:13, იგ 16:27, ტიტ 1:11, ფს 139:4, მარკ 7:15
- 7 რადგან ცხოველთა და ფრინველთა, ქვეწარმავალთა და ზღვის ცხოველთა ყველა სახეობა დამორჩილებულია და თვინიერდება ადამიანის ბუნების მიერ.
- 8 ენის მოთვინიერება კი კაცშივლს არ შეუძლია. დაუკავებელია ეს ბოროტება და მომაკვდინებელი შხამითაა სავსე. ფს 56:5, ეკლ 10:11
- 9 მისი მეშვეობით ვაკურთხებთ ღმერთს და მამას და მისივე მეშვეობით ვწყევლით ღმერთის ხატად შექმნილ ადამიანებს. ეკლ 7:22, დაბ 1:26,27, მათ 5:44
- 10 ერთი პირიდან გამოდის კურთხევა და წყევლა. ასე არ უნდა ხდებოდეს ჩემო ძმებო. 1 პეტ 3:9, რომ 14:12
- 11 განა მოედინება ერთი წყაროდან ტკბილი და მწარე?
- 12 ჩემო ძმებო, შეუძლია განა ლეღვის ხეს, ზეთისხილი მოისხას, ან ვაზმა ლეღვი? ასევე ვერცერთი წყაროდან ვერ გამოედინება ერთდროულად მლაშე და მტკნარი წყალი. ლუკ 6:43, მათ 7:16, რომ 11:16
- 13 ვინ არის თქვენს შორის ბრძენი და მცოდნე? კარგი საქციელით აჩვენოს თავისი საქმენი ბრძნულ თავმდაბლობაში, 1 კორ 6:5, 1 პეტ 3:4, 1 ტიმ 6:11, ფს 24:9
- 14 მაგრამ თუ გულში მწარე შური და შუღლი გაქვთ, ნუ ტრაბახობთ და ცრუობთ ჭეშმარიტების წინააღმდეგ. 1 კორ 4:8, 5:2,6
- 15 ეს არ არის მაღლიდან გარდმოვლენილი სიბრძნე, არამედ მიწიერი, მშვინვიერი და დემონური. საქ 13:10, 1 კორ 1:20, 2:14, 3:19, იოან 8:44
- 16 რადგან სადაც შური და შუღლია, იქ შფოთი და ყოველგვარი ბოროტმოქმედებაა. 1 კორ 3:3
- 17 ხოლო მაღლიდან გარდმომავალი სიბრძნე, პირველყოფლისა წმინდაა, მერე მშვიდობიანი, ლობიერი, მორჩილი, წყალობით და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და უთვალთმაქცო. 1 კორ 2:6,7, 13:4-7, 2 ტიმ 2:24, გალ 5:22
- 18 სიმართლის ნაყოფი მშვიდობით ითესება მშვიდობისმყოფელთა მიერ. ოს 10:12, მათ 5:9

## IV

- 1 საიდან იწყება მტრობა და შუღლი თქვენს შორის? განა თქვენივე გულისთქმათაგან არა, რომლებიც თქვენს ასოებს შორის იბრძვიან? 1 პეტ 1:14, 2:11, რომ 8:7
- 2 გინდათ და არ გაქვთ. კლავთ და გშურთ, მაგრამ ვერ აღწევთ. იბრძვით, ომობთ და არ გაგაჩნიათ, რადგან არ ითხოვთ. 1 ტიმ 6:10
- 3 ითხოვთ, მაგრამ არ გემღევათ, რადგან არასწორად ითხოვთ: საკუთარ გულისთქმებზე დასახარჯავად. ეს 1:15, იერ 11:14
- 4 მრუშნო! არ იცით, რომ წუთისოფელთან მეგობრობა ღმერთის მტრობაა? ის, ვისაც წუთისოფელთან მეგობრობა სურს, ღმერთის მტერი ხდება. 1 იოან 2:15-17
- 5 ნუთუ გგონიათ, რომ ამაოდ ამბობს წერილი: 'მოშურნეობამდე სწადია ჩვენში მოქმედ სულს?' დაბ 8:21, 2 რჯლ 4:24, იესო 24:19, ეს 42:13
- 6 მაგრამ მით უფრო მეტ მადლს იძლევა. ამიტომ ამბობს: 'ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს'. იგ 18:13, დან 5:20, იობ 22:29, ლუკ 1:52, 14:11
- 7 ამიტომ დაემორჩილეთ ღმერთს, შეეწინააღმდეგეთ ეშმაკს და გაიქცევა თქვენგან. 1 პეტ 5:9, ეფეს 6:11
- 8 მიუახლოვდით ღმერთს და ისიც მოგიახლოვდებათ თქვენ. დაიბანეთ ხელები ცოდვილებო, განიწმინდეთ გულები ორპირებო. ოს 6:1 ეს 55:7

9 დანადვლიანდით, იგლოვეთ და იტირეთ. თქვენი სიცილი გლოვად იქცეს, სიხარული კი მწუხარებად. 2 კორ 7:10, ფს 118:71

10 თავი დაიმდაბლეთ უფლის წინაშე და იგი აგამაღლებთ თქვენ. ფს 146:6, 1 პეტ 5:6

11 ძმებო, აუგს ნუ ლაპარაკობთ ერთმანეთზე. ვინც აუგად მოიხსენიებს ძმას და ასამართლებს ძმას, ის აუგს ლაპარაკობს რჯულზე და ასამართლებს რჯულს; მაგრამ თუ რჯულს ასამართლებ, რჯულის აღმსრულებელი კი აღარ ხარ, არამედ მოსამართლე. 1 კორ 4:5, რომ 2:1, 14:10, ლუკ 6:37

12 ერთია რჯულმდებელი, რომელსაც შეუძლია ხსნა და დალუპვა: შენ ვინ ხარ, სხვას რომ ასამართლებ? ეს 33:22, ლუკ 12:5

13 ეხლა თქვენ მომისმინეთ, ასე რომ ამბობთ: 'დღეს, ან ხვალ, ამა და ამ ქალაქში წავალთ, იქ ერთ წელს დავყოფთ, ვივაჭრებთ და შემოსავალს მივიღებთო'. დაბ 11:4, იგ 27:1, ეს 56:11

14 თქვენ, რომლებმაც არ იცით რა მოხდება ხვალ, რადგან რა არის თქვენი სიცოცხლე? ორთქლი, რომელიც ცოტა ხანს ჩანს და სწრაფადვე ქრება. ფს 101:4, 1 იოან 2:17

15 ნაცვლად იმისა, რომ თქვათ: 'თუ ინებებს უფალი და ვიცოცხლებთ, ამას და ამას ვიზამთო'. 1 კორ 4:19, 2 მეფ 15:25, ებრ 6:3, რომ 15:32

16 ეხლა თქვენი ქედმაღლობით ამპარტავნობთ, ყოველი ასეთი ამპარტავნება ბოროტებაა.

17 ამიტომ, ვინც სიკეთის კეთება იცის და არ აკეთებს, ცოდვად ეთვლება მას. ლუკ 12:47, რომ 1:32

## V

1 მომისმინეთ მდიდრებო: იტირეთ და ივაგლახეთ იმ უბედურებაზე, თქვენზე რომ მოდის. 1 ტიმ 6:9, 2 რჯლ 8:12-14, იერ 9:23

2 თქვენი სიმდიდრე დალპა და ჩრჩილმა შეჭამა თქვენი ტანსაცმელი.

3 თქვენი ოქრო და ვერცხლი დაჟანგდა. მათი ჟანგი იქნება მოწმობა თქვენს წინააღმდეგ და თქვენს ხორცს ცეცხლივით შეჭამს იგი. დაგროვილი გაქვთ სიმდიდრე უკანასკნელი დღეებისათვის.

4 აჰა, მუშაკთა საზღაური, რომელიც დაუკავეთ თქვენი ყანების მომკალთ, დაღადავს და მომკალთა დაღადავს მიაღწია ცაბაოთ უფლის ყურამდე. 2 რჯლ 24:14, კოლ 4:1, იერ 22:13

5 თქვენ ფუფუნებაში ცხოვრობდით დედამიწაზე და განცხრომას ეძლეოდით, თითქოს დაკვლის დღისთვის დაგესუქებინოთ თქვენი გულები. ეს 5:11, ლუკ 16:19

6 მსჯავრი დასდეთ და მოკალით მართალი, ის კი არ შეგეწინააღმდეგათ. საქ 13:27, 1 პეტ 2:23

7 ძმებო, მრავლისმომთმენნი იყავით უფლის მოსვლამდე. მიწაზე მომუშავეც ასე ელოდება მიწის ძვირფას ნაყოფს, დიდი მოთმინებით ელის საადრეო და საგვიანო წვიმის მოსვლას. 1 კორ 1:7, 1 თეს 1:3, 2 კორ 6:4, კოლ 1:11, გალ 6:9, ებრ 6:15

8 მრავლისმომთმენნი იყავით თქვენც და გულები გაიმაგრეთ, რადგან ახლოვდება უფლის მოსვლა. გოდ 3:26, 1 თეს 1:10, ებრ 10:35, რომ 8:25

9 ჩემო ძმებო, ნუ დრტვინავთ ერთმანეთზე, რათა მსჯავრი არ დაგედოთ. აჰა, მოსამართლე კარზეა მომდგარი. ლევ 19:18, 1 პეტ 4:9

10 ჭირთათმენის და მრავლისმომთმინების ნიმუშად ის წინასწარმეტყველები აიღეთ ჩემო ძმებო, რომლებიც უფლის სახელით ლაპარაკობდნენ. 1 თეს 2:14, ლუკ 13:34, საქ 7:52

11 აჰა, ჩვენ ხომ კურთხეულებს ვუწოდებთ მათ, ვინც დაითმინა. იობის მოთმინება ხომ გსმენიათ და უფლისმიერი ბოლოც გინახავთ, რადგან ძალიან მოწყალე და შემზრალეა უფალი. დან 9:9, ეფს 2:4, ებრ 3:14, რომ 2:4

12 პირველყოფლისა, ჩემო ძმებო, ნუ დაიფიცებთ ნურც ზეცას, ნურც დედამიწას, ნურც რომელიმე სხვა საფიცარს; თქვენი 'ჰო' - ჰო იყოს და 'არა' - არა, რათა მსჯავრი არ დაგედოთ. მათ 5:33-37

13 უჭირს რომელიმე თქვენთაგანს? ილოცოს. ხარობს ვინმე? იგალობოს. 2 ნემ 33:12, ლუკ 22:44, მათ 26:30, ეფს 5:19

14 ავადმყოფობს რომელიმე თქვენგანი? დაუძახოს ეკლესიის ხუცესებს, ილოცონ მასზე და ზეთი სცხონ უფლის სახელით. 4 მეფ 5:11, მარკ 6:13

15 რწმენის ლოცვა იხსნის ავადმყოფს. უფალი წამოაყენებს მას და თუ რაიმე ცოდვები აქვს ჩადენილი, ეპატიება. მარკ 2:5-11, 16:18, მათ 9:2-6

16 აღიარეთ თქვენი შეცდომები ერთმანეთის წინაშე და ილოცეთ ერთმანეთისთვის, რათა განიკურნოთ. რადგან ზევრი რამ შეუძლია მართლის ძლიერ ლოცვას. საქ 19:18, დაბ 20:17

17 ელია ჩვენი მსგავსი კაცი იყო და ლოცვით ილოცა, რომ არ მოსულიყო წვიმა და არ მოსულა წვიმა ქვეყნად სამ წელსა და ექვს თვეს. 3 მეფ 17:, გამოცხ 11:6

18 და კვლავ ილოცა და მისცა ცამ წვიმა და მიწამაც აღმოაცენა თავისი ნაყოფი.

19 ძმებო, თუ ვინმე თქვენთაგანი გადაცდება ჭეშმარიტებას და მას ვინმე მოაქცევს, 2 პეტ 3:17, 2 ტიმ 2:18, იეზუკ 34:4, მათ 18:15

20 იცოდეს მან, რომ მცდარი გზიდან ცოდვილის მომქცევი, სიკვდილისგან იხსნის სულს და მრავალ ცოდვას დაფარავს. 1 პეტ 4:8, 1 ტიმ 4:16, იგ 10:2, 11:4, რომ 11:14

ეკლესია "სივოცხლის სიტყვა"

**სამუშაო ვერსია. ეკლესია არ იყენებს ამ ტექსტს ღვთისმსახურებისას.**

ეპისტოლე კორექტირებულია ბერძნული ტექსტის, Textus Receptus-ის მიხედვით.

27.02.2008



[www.wolgeorgia.org](http://www.wolgeorgia.org)